ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №879278

ნომერი: AR1153855

თარიღი : 22.08.2013

გაცემის თარიღი : 03.09.2013

გაცნობის თარიღი : 03.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო მანჯგალაძე პ/ნ 01006014650
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 23 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 14 აგვისტოს #AR1153855 განცხადებით მომართა შპს „სამედიცინო ცენტრი ქირონის“ წარმომადგენელმა (მინდობილობა 10.08.2013 წ.) სოფიო მანჯგალაძემ და მოითხოვა 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის შეცვლილი ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ იქნა 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტი #1/14/3/40/126 და 1/14/3/40/122 (1050 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე მალტის ორდენის საელჩოსა და ბავშვთა პოლიკლინიკის ასაშენებლად. 02.12.2002 წ. #20/832 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა

მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ დოკუმენტაციაში სამსახურის #2629 07.07.2011 წ. ბრძანებით განხორციელდა ცვლილება, კერძოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად დაფიქსირდა 01.14.03.040.282 ფართობი 1039 კვ.მ, ხოლო ობიექტის ფუნქციად სასწავლო დაწესებულება. შემდეგში აღნიშნულ ტერიტორიაზე სასწავლო დაწესებულების რეკონსტრუქციის განსახორციელებლად გაიცა ქალაქ თბილისის მერის განკარგულება #1975 (29.08.11.), რომლის შესაბამისად მიწის ნაკვეთისათვის საკადასტრო კოდით: #01.14.03.040.282 განისაზღვრა ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები: კ–1=0.6 და კ–2=2.0 , განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.03.040.315, ფართობი – 640 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაყოფის შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ აქტში. დღეისათვის ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური აღარ არსებობს, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მრტის #194 განკარგულებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის და იმ საქალაქო სამსახურების სამართლებრივ აქტებში ვისი სამართალმემკვიდრეც იყო ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური.

ვინაიდან, შეიცვალა საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი, ფართობი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია შეიტანოს ცვლილება და დამატება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორში.

ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მრტის #194 განკარგულების,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.03.040.315 ფართობი – 640 კვ.მ), ხოლო სხვა პირობები და მოთხოვნები დარჩეს უცვლელი;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-640 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.14.03.040.315;
3. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტს შენიშვნის სახით დაემატოს: „მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილ იქნეს მისასვლელი გზით“.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 28.11.2002 წ. #2699 სამშენებლო პასპორტთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.